ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 176

"25" ივნისი 2019 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში დიდი დიღმის დასახლების IV მიკრორაიონის კორპუსი №2-ში მდებარე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ცალკეული ფართების ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისათვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, და 118[1] მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქო ნების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-2 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში დიდი დიღმის დასახლების IV მიკრორაიონის კორპუსი №2-ში მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ცალკეული ფართების ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 22 მაისის №19.561.755 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების ქ. თბილისში დიდი დიღმის დასახლების IV მიკრორაიონის კორპუს №2-ში მდებარე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ცალკეული ფართების სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად, დანართი 1-ით განსაზღვრული ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისათვის/მათი უფლებამონაცვლეებისათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებაზე, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი 2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე _____ გიორგი ტყემალაძე

დანართი №1

ქ. თბილისში, დიდი დიღმის დასახლება, IV მიკრო/რაიონი კორპუსი №2-ში მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება (ფართები);

N	კოოპერატივის ნომერი	სახელი,გვარი	პირადი ნომერი	სართული/ბინის N	ფართობი	საკადასტრო კოდი
1	632	ირინა ბერძული	პ/ნ 01010009712	I	98.55	01.10.07.007.138.01.500
2	632	მანანა ძიძიგური	პ/ნ 01013027138	I	105.87	01.10.07.007.138.01.521
3	632	გია მეგრელიშვილი	პ/ნ 01025016071	I	43.57	01.10.07.007.138.01.502
4	632	ნატო ჩიტაშვილი	პ/ნ 24001043727	I	44.46	01.10.07.007.138.01.503
5	632	მარიამ ზაბახიძე	პ/ნ 01019050355	II	56.69	01.10.07.007.138.01.504
6	652	ნაირა ბეშიძე	პ/ნ 01025018822	II	59.73	01.10.07.007.138.01.505
7	632	დოდო ტაბატაძე	პ/ნ 01024073997	II	80.22	01.10.07.007.138.01.525
8	632	ილარიონ შუკაკიძე	პ/ნ 01001011300	II	81.04	01.10.07.007.138.01.518
9	632	პაატა თედორაძე	პ/ნ 01025022131	III	103.61	01.10.07.007.138.01.508
10	632	დავით მამასახლისი	პ/ნ 01025000412	III	76.62	01.10.07.007.138.01.509
11	632	დავით მამასახლისი	პ/ნ 01025000412	III	68.05	01.10.07.007.138.01.510
12	632	დარეჯან ალანია	პ/ნ 01025017589	III	46.02	01.10.07.007.138.01.511
13	632	ნანი ღონიაშვილი	პ/ნ 01025013263	IV	108.57	01.10.07.007.138.01.513
14	632	ნინო ხუროშვილი	პ/ნ 01013015684	IV	104.30	01.10.07.007.138.01.523
15	659	ავთანდილ ცარციძე	პ/ნ 01011038686	IV	70.14	01.10.07.007.138.01.515
16	632	ნინო ნოზაძე	პ/ნ 01022001319	IV	50.56	01.10.07.007.138.01.516

დანართი N2

ხელშეკრულება
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული
უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე

ქ. თბილისი ___ _____ 2019

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად, "სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის და „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის №419 განკარგულების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის ---------- ----- განკარგულებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ----- განკარგულების საფუძველზე.

ერთის მხრივ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტო (წარმოდგენილი ---------.---.------- მიერ – პირადი № _____ მცხ. _____), შემდგომში „გამყიდველად" წოდებული და მეორეს მხრივ, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრები/მათი წარმომადგენლები/ უფლებამონაცვლეები;

ირინა ბერძული (პ/ნ 01010009712); მანანა ძიძიგური (პ/ნ 01013027138); ავთანდილ დოკაძის (პ/ნ 01019000525) უფლებამონაცვლის გიორგი მეგრელიშვილის მემკვიდრე გია მეგრელიშვილი (პ/ნ 01025016071); რუიზან ქარელის მემკვიდრის ჯონდო კეშელავას (პ/ნ 01017037698) უფლებამონაცვლე ნატო ჩიტაშვილი (პ/ნ 24001043727); მარიამ ზაბახიძე (პ/ნ 01019050355); ლაშა აბაშიძის (პ/ნ 01017008062) უფლებამონაცვლე ნაირა ბეშიძე (პ/ნ 01025018822); ანა რაზმაძის (პ/ნ 01019050365) უფლებამონაცვლე დოდო ტაბატაძე (პ/ნ 01024073997); ილარიონ შუკაკიძე (პ/ნ 01001011300); დავით კაკაბაძის (პ/ნ 01006017940) უფლებამონაცვლის გრიგოლ თედორაძის მემკვიდრე პაატა თედორაძე (პ/ნ 01025022131); დარეჯან ყიფიანის მემკვიდრის მალხაზ კოკაიას (პ/ნ 01026015066) **უფლებამონაცვლე დავით მამასახლისი (პ/ნ 01025000412)**; მანანა პაპინაშვილის (პ/ნ 01007016407) უფლებამონაცვლის დარეჯან ალანიას (პ/ნ 01025017589) უფლებამონაცვლე დავით მამასახლისი (პ/ნ 01025000412); შოთა სავანელის მემკვიდრის ზურაბ სავანელის (პ/ნ 35001016868) უფლებამონაცვლე დარეჯან ალანია (პ/ნ 01025017589); გელა ლომიძის (პ/ნ 01006008243) უფლებამონაცვლის გოჩა ვაჩეიშვილის (პ/ნ 37001015596) უფლებამონაცვლე ნანი ღონიაშვილმა (პ/ნ 01025013263); ეთერ ადამაშვილის (პ/ნ 01024008726) უფლებამონაცვლე ნინო ხუროშვილი (პ/ნ 01013015684); ლილი მელაძის (პ/ნ 01015004903) უფლებამონაცვლე ავთანდილ ცარციძე (01011038686) და ნინო ნოზაძე (პ/ნ 01022001319) შემდგომში „მყიდველი“ ერთობლივად წოდებული, როგორც „მხარეები“,

იმის გათვალისწინებით, რომ „მხარეები“ თანხმობას აცხადებენ, „ხელშეკრულებაში“ განსაზღვრონ თავიანთი უფლებები და ვალდებულებები, "სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის და „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან

დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის №419 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის ---------- განკარგულებისა - და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ----- განკარგულების საფუძველზე თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. „გამყიდველი" ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით „მყიდველს" საკუთრებაში გადასცემს ქ.თბილისში, დიდი დიღმის დასახლება, IV მიკრო/რაიონი კორპუსი N2-ში მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ფართებს ს/კ: №01.10.07.007.138.01.500; №01.10.07.007.138.01.521; №01.10.07.007.138.01.502; №01.10.07.007.138.01.503; 01.10.07.007.138.01.504; №01.10.07.007.138.01.505; №01.10.07.007.138.01.525; №01.10.07.007.138.01.518; №01.10.07.007.138.01.508; №01.10.07.007.138.01.509; №01.10.07.007.138.01.510; №01.10.07.007.138.01.511; №01.10.07.007.138.01.513; №01.10.07.007.138.01.523; № 01.10.07.007.138.01.515; №01.10.07.007.138.01.516; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის № ---- განკარგულების დანართი №1-ით განსაზღვრული პროპორციით (შემდგომში „უძრავი ქონება"), ხოლო „მყიდველი“ სანაცვლოდ სრულად ამბობს უარს მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე (შემდგომში „უფლების დათმობა“).

1.2 „გამყიდველი“ „მყიდველს" გადასცემს საკუთრების უფლებას „უძრავ ქონებაზე“ იმ პირობით, რომ „მყიდველი“ შეასრულებს „ხელშეკრულებით“ განსაზღვრულ ვალდებულებებს.

1.3 „გამყიდველი" ყიდის და „მყიდველი“ ყიდულობს „უძრავ ქონებას“ „ხელშეკრულებაში“ მოცემული პირობებით.

მუხლი 2. საპრივატიზებო საფასური მისი გადახდის წესი და პირობები:

2.1 ამ ხელშეკრულების პირველი მუხლის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული „უძრავი ქონება“ "მყიდველს" გადაეცემა 1 (ერთი) ლარად (შემდგომში „საპრივატიზებო საფასური“).

2.2 „საპრივატიზებო საფასურის“ გადახდა მყიდველის მიერ უნდა განხორციელდეს ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

2.3 „საპრივატიზებო საფასური“ გადახდილ უნდა იქნას უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით შემდეგ

საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით,

სალარე ანგარიში:

სახელმწიფო ხაზინა

TRESGE22

300773313 -საცხოვრებელი შენობა ნაგებობები

3390-მიწის ნაკვეთი

მუხლი 3. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

3.1 მყიდველის ვალდებულებები:

3.1.1 შეასრულოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისა .-------..------- და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით .------ და წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული საპრივატიზებო პირობები და სხვა ვალდებულებები.

3.1.2 უზრუნველყოს ნასყიდობის საგანზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემისთანავე, არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში და საკუთრების მოწმობასთან ერთად საჯარო რეესტრში წარადგინოს წინამდებარე ხელშეკრულება, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის № ---- განკარგულება და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №_____ განკარგულება.

3.1.3 შეძენილი ქონების შემდგომი გამოყენებისას დაიცვას კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

3.1.4 შეძენილ ქონებაზე საკუთრების უფლების დადასტურებამდე, მყიდველს არა აქვს უფლება, გამყიდველთან შეთანხმების გარეშე, გადაცემული ქონება განკარგოს, გასცეს სარგებლობის უფლებით ან სხვაგვარად დატვირთოს იგი. ამასთან, მყიდველი პასუხისმგებელია მიღებული ქონების მოვლა-პატრონობაზე და დაცვაზე.

3.1.5 დაფაროს „ქონებაზე“ საკუთრების უფლების და „მყიდველის“ მიერ „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებების რეგისტრაციის ხარჯები საჯარო სამართლის იურიდიული პირ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ (შემდგომში - „საჯარო რეესტრი“) „მყიდველის“ მიერ აგრეთვე იფარება „ხელშეკრულების“ გაფორმებასთან დაკავშირებული სანოტარო მომსახურების ხარჯები, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

3.1.6 „გამყიდველს" წარუდგინოს ინფორმაცია „მყიდველის" მიერ „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის შესახებ „გამყიდველის“ მოთხოვნისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს ასეთი მოთხოვნის მიღებიდან 30 (ოცდაათი) დღისა.

3.2 გამყიდველი იღებს ვალდებულებას, ამ ხელშეკრულების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმების შემდეგ, „მყიდველის“ მიერ ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.2 პუნქტით, მე-3 მუხლის 3.1 პუნქტის, 3.1.1 ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ, ნასყიდობის საგანზე მყიდველს დაუდასტუროს საკუთრების უფლება შესაბამისი საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის გზით.

მუხლი 4. ვალდებულებათა შესრულება

4.1 ვალდებულების შესრულება ან/და შესრულების მიღება ხორციელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით.

4.2 ამ ხელშეკრულებისთვის ფინანსური ვალდებულება (ნასყიდობის ღირებულება, დაკისრებული პირგასამტეხლო და ა.შ.) შესრულებულად ითვლება შესაბამის ანგარიშზე თანხის გადასარიცხად საგადახდო დავალების შედგენის ან/და სხვა სათანადო დოკუმენტურად დადასტურებული ქმედების განხორციელების დღიდან.

4.3 მყიდველის მიერ თანხის გადახდა ხორციელდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

მუხლი 5. მხარეთა გარანტიები და განცხადებები:

5.1 მყიდველის გარანტიები და განცხადებები:

5.1.1 „მყიდველი“ ადასტურებს და აცხადებს, რომ:

5.1.1.1 ისინი ნამდვილად წარმოადგენენ ყოფილი საბინაო-სამშენებლო N632, 652 და 659 კოოპერატივის წევრებს.

5.1.1.2 „მყიდველს“ გააჩნია შეუზღუდავი, სრული უფლებამოსილება და უფლებაუნარიანობა, რომ გააფორმოს „ხელშეკრულება“ და განახორციელოს „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ქმედებები.

„ხელშეკრულების“ გაფორმება და „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ქმედებების განხორციელება მოწონებულ და ნებადართულ იქნა ყველა აუცილებელი საშუალებით და „ხელშეკრულების“ გაფორმება არ მოითხოვს სხვა რაიმე ქმედების განხორციელებას, გარდა „მყიდველის“ მიერ „საჯარო რეესტრში“ „ხელშეკრულების“ რეგისტრაციისა;

5.1.1.3 „მყიდველი“ აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ მას გააჩნია საკმარისი ფინანსური რესურსები, გადაიხადოს „საპრივატიზებო თანხა“ „უძრავი ქონებისთვის“' და შეასრულოს ვალდებულებები, როგორც ეს გათვალისწინებულია „ხელშეკრულებაში“ მასში მოცემული პირობების შესაბამისად:

5.1.1.4 არ არსებობს ფაქტობრივი ან სამართლებრივი გარემოება, რამაც შეიძლება შეაფერხოს „მყიდველის“ მიერ „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

5.1.1.5. მას/მის მარწმუნებელს/პირს, არ მიუღია სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისგან უძრავი ქონება/არამატერიალური ქონებრივი სიკეთე/ფულადი თანხა სახელმწიფო საშინაო ვალის/კოოპერატიული ბინის სანაცვლოდ.

5.2. „გამყიდველი“ აფორმებს „ხელშეკრულებას“ მხოლოდ „მყიდველის“ ყველა ზემოხსენებული განცხადების და გარანტიის ნამდვილობის პრეზუმფციაზე დაყრდნობით.

5.3. გამყიდველის გარანტიები და განცხადებები:

5.3.1. გამყიდველი ადასტურებს და აცხადებს, რომ:

5.3.1 „გამყიდველს“ გააჩნია უფლებამოსილება., რომ დადოს „ხელშეკრულება“:

5.3.1.2 „ხელშეკრულების“ გაფორმების დროისთვის „უძრავი ქონება" არის უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო.

5.3.1.3 „ხელშეკრულების“ გაფორმების დროისთვის „უძრავ ქონებაზე“ საკუთრების უფლების რაიმე მოთხოვნა არ არსებობს, ადგილი არ აქვს და არც ჰქონია „გამყიდველის“ მიმართ ასეთი მოთხოვნის წაყენებას, „გამყიდველისთვის“ არ არის ცნობილი ისეთი გარემოებები, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს საკუთრების უფლების რეალიზაციაზე;

5.3.1.4 „ხელშეკრულების“ გაფორმების დროისთვის არ მიმდინარეობს სასამართლო პროცესი რაიმე სამოქალაქო/ ადმინისტრაციულ/ სისხლისსამართლებრივ ან სხვა საქმესთან დაკავშირებით „.უძრავ ქონებასთან“ მიმართებით;

მუხლი 6. საკუთრების უფლების გადაცემა

ხელშეკრულებით გათვალისწინებული უძრავი ქონება მყიდველს საკუთრებაში გადაეცემა საპრივატიზებო საფასურის მთლიანად გადახდის, ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.2 პუნქტით, მე-3 მუხლის 3.1 პუნქტის 3.1.1 ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულებების სრულად შესრულების, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემისა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის შემდეგ.

მუხლი 7. მყიდველის პასუხისმგებლობა

7.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში (ვალდებულებათა შესრულების პერიოდში) „მყიდველის“ მიერ პრივატიზებული ქონების გასხვისების შემთხვევაში, „მყიდველი“ ვალდებულია ქონება ახალ მესაკუთრეზე გაასხვისოს იმავე პირობებით, რაც გათვალისწინებული იყო ნასყიდობის ხელშეკრულებით.

7.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შესრულებულად ითვლება „გამყიდველის“ მიერ მათი დადასტურების მომენტიდან.

7.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობაზე „მყიდველი“ იღებს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და არსებობის შემთხვევაში პირგასამტეხლოს ოდენობა. პირგასამტეხლო განისაზღვრება ხელშეკრულებით, სახელშეკრულებო პირობებიდან გამომდინარე, კერძოდ: თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში – გადაუხდელი თანხის 0,1% დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, მაგრამ არანაკლებ 1 (ერთი) ლარისა;

პირგასამტეხლოს გადახდა უნდა განხორციელდეს შემდეგ ანგარიშზე ჩარიცხვით:

მიმღები სახელმწიფო ხაზინა: TRESGE22

ანგარიშის ნომერი: 200122900

სახაზინო კოდი: 300773287

(შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან).

7.4. საპრივატიზებო პირობის დარღვევის ან შეუსრულებლობის შემთხვევაში „მყიდველი“ იღებს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების გონივრული ვადა და პირგასამტეხლო.

7.5. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდა, „მყიდველს" არ ათავისუფლებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.6. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების განმეორებით შეუსრულებლობა, ასევე დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა გამყიდველის მიერ განიხილება ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის საფუძვლად.

7.7. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების საკუთრებაში პირობებით გადაცემისას უზრუნველყოფილი მოთხოვნის შეუსრულებლობის გამო დატვირთული ქონების მოთხოვნის უფლების მფლობელის საკუთრებაში გადასვლისას ან „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონით ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით რეალიზაციისას (მიუხედავად ასეთი რეალიზაციის ფორმისა) ახალ და ყოველ შემდგომ მესაკუთრეზე სრულად გადადის ქონების შემძენის მიერ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის წინაშე ნაკისრი საპრივატიზებო ვალდებულებები და შესაბამისი ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობები, თუ ქონების დატვირთვამდე მოთხოვნებისა და უფლებების შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში ქონების შესახებ ჩანაწერში რეგისტრირებულია საპრივატიზებო ვალდებულების (ვალდებულებების) ამსახველი შესაბამისი ინფორმაცია.

7.8. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების მიზნით დადებული შესაბამისი ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობების დარღვევის ან/და ქონების ნასყიდობის ფასის დადგენილ ვადებში გადაუხდელობის გამო ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის შემთხვევაში პრივატიზებული ქონება ბრუნდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, ხოლო ამ ქონებაზე რეგისტრირებული მესამე პირის (პირთა) უფლება (უფლებები) უქმდება, თუ ქონების დატვირთვამდე საჯარო რეესტრში მოთხოვნებისა და უფლებების შესახებ ჩანაწერში რეგისტრირებულია საპრივატიზებო ვალდებულების (ვალდებულებების) ამსახველი შესაბამისი ინფორმაცია. ამასთანავე, ქონების შემძენს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ არ აუნაზღაურდება გადახდილი თანხები და გაწეული ხარჯები.

7.9. მყიდველის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად გამყიდველის მხრიდან ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში ამ ხელშეკრულების პირველი მუხლის 1.1 პუნქტით განსაზღვრული ქონება დაუბრუნდება გამყიდველს.

7.10. იმ შემთხვევაში, თუ გამოვლინდება, რომ კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრს/უფლებამონაცვლეს მიღებული აქვს სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისგან უძრავი ქონება, არამატერიალური ქონებრივი სიკეთე ან ფულადი თანხა სახელმწიფო საშინაო ვალის ან კოოპერატიული ბინის სანაცვლოდ, გარიგება კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრის/უფლებამონაცვლის ნაწილში ექვემდებარება ბათილად ცნობას, ხოლო უძრავი ქონების შესაბამისი წილი/მიღებული გაუმჯობესებანი ან ასეთის არარსებობის შემთხვევაში – შესაბამისი ღირებულების ფულადი თანხა, უნდა დაუბრუნდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს.

მუხლი 8. სხვა პირობები

8.1 ამ ხელშეკრულების თითოეული გვერდი საჭიროებს მხარეთა ხელმოწერას.

8.2 აღნიშნული ხელშეკრულების დანართი წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და შედგება შემდეგი დოკუმენტაციისაგან:

8.2.1 „სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განხორციელებულ ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის №419 განკარგულება;

8.2.2 მყიდველის მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში წარმოდგენილი 2019 წლის 5 აპრილს N19/01190953783-61 განცხადება;

8.2.3 კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრად აღრიცხვის გადაწყვეტილებები;

8.2.4 ბინის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (ე.წ. ქვითრები);

8.2.5 ნოტარიულად დამოწმებული დოკუმენტი (თანხმობა) სახელმწიფო საშინაო ვალზე მოთხოვნის უფლების დათმობის შესახებ;

8.3 ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, ქართულ ენაზე. ერთი ეგზემპლარი წარედგინება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურს (მარეგისტრირებელ ორგანოს), თითო ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს.

8.4 ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავის არსებობის შემთხვევაში მხარეებს შეუძლიათ მიმართონ საქართველოს შესაბამისი იურისდიქციის მქონე სასამართლოს.

მუხლი 9. შეტყობინებები

ნებისმიერი შეტყობინება და მიმოწერა მხარეებს შორის უნდა განხორციელდეს წერილობით ქართულ ენაზე და გადაცემულ უნდა იქნეს პირადად, ან ფაქსის, შეკვეთილი წერილის ან კურიერის მეშვეობით, ქვემოთ მითითებულ მისამართებზე ან სხვა მისამართზე წინასწარი შეტყობინებით;

გამყიდველი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტო

გამყიდველი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო

მყიდველი -

ირინა ბერძული (პ/ნ 01010009712) ----------
მანანა ძიძიგური (პ/ნ 01013027138) ----------
გია მეგრელიშვილი (პ/ნ 01025016071) ----------
ნატო ჩიტაშვილი (პ/ნ 24001043727) ----------
მარიამ ზაბახიძე (პ/ნ 01019050355) ----------
ნაირა ბეშიძე (პ/ნ 01025018822) ----------
დოდო ტაბატაძე (პ/ნ 01024073997) ----------
ილარიონ შუკაკიძე (პ/ნ 01001011300) ----------
პაატა თედორაძე (პ/ნ 01025022131) ----------
დავით მამასახლისი (პ/ნ 01025000412) ----------
დარეჯან ალანია (პ/ნ 01025017589)----------
ნანი ღონიაშვილი (პ/ნ 01025013263)----------
ნინო ხუროშვილი (პ/ნ 01013015684)----------
ავთანდილ ცარციძე (პ/ნ 01011038686)----------
ნინო ნოზაძე (პ/ნ 01022001319) ----------